

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N60

ქ.თბილისი

23 სექტემბერი, 2025 წელი
14⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე

კახაბერ ლაბუჩიძე

ლევან არველაძე

ნათია მოდებაძე

მარიამ გელაშვილი

შალვა ოგბაიძე

ოთარ გრიგოლია

ვიტალი ონიანი

ლევან დავითაშვილი

გურამ ოქროპირიძე

ნინო ვარდოსანიძე

ნინო რუხაძე

კონსტანტინე ზარნაძე

თამარ ჩახვაშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

ზურაბ ჩიკვილაძე

ანა კაკაბაძე

გივი ჩხარტიშვილი

მიხეილ კაკაურიძე

ავთანდილ ცინცაძე

ნიკოლოზ კახეთელიძე

ალექსანდრე ხუჯაძე

ანა კილაძე

ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ქეთევან კანდელაკიშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნინო ლომინაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი გიორგი კობიაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი ხუნწარიძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. ისაუბრა თვითმმართველობის წინასაარჩევნო კამპანიაზე, რომელიც, მისი თქმით, „პრაქტიკულად კულმინაციას უახლოვდება“, მაღლობა გადაუხადა კოლეგებს რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები პროცესებში და თანამოქალაქეებს, რომლებსაც სჯერათ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ოთხი წელი უნდა გააგრძელოს დედაქალაქის აღმშენებლობა. აქვე განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ მუშაობას განაგრძობს დევიზით - „მეტი მშვიდობა საქართველოს და მეტი სიკეთე თბილისს“ და წარმატებები უსურვა საკრებულოს თითოეულ წევრს, დედაქალაქის მერს და პარტიას „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“.

ოთარ გრიგოლიამ ისაუბრა თვითმმართველობის არჩევნებზე, წარმატებები უსურვა ყველა კანდიდატს და განაცხადა, რომ საარჩევნო პერიოდი არის ძალიან მშვიდი თავისი შინაარსით, რაც, მისი თქმით, გამოწვეულია იმით, რომ პროცესში არ მონაწილეობს „ნაციონალური მოძრაობა“. გამოეხმაურა ალექო ელისაშვილის განცხადებას, რომ არჩევნებში „ლელოს“ გამარჯვების შემთხვევაში, მერიის თანამშრომლები გაიფიცებიან, რაც, მისი თქმით, ნიშნავს მუნიციპალიტეტის გაჩერებას. ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებს, სამწუხაროდ, კარიკატურიზებული აქვთ პოლიტიკა, თუმცა, ცხადია, რომ „ქართული ოცნების“ საქმე არის შენება, განვითარება და ის გზა, რომელიც ბოლო რვა წლის განმავლობაში დაინახა თითოეულმა მოქალაქემ. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ დარწმუნებულია, 4 ოქტომბრის არჩევნებში გაიმარჯვებს „ქართული ოცნება“ და მიმართა ყველა იმ „რადიკალურ ჯგუფს“, რომელიც 4 ოქტომბერზე ამყარებს იმედებს: „4 ოქტომბერი არის თარიღი, რომელიც ლევან ხაბეიშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“, კეზერაშვილთან ერთად, დაგეგმა, მოიფიქრა და ყველა ის ადამიანი, რომელიც ამ თარიღზე აკეთებს სწორებას, პირდაპირ, ცხადად და ერთმნიშვნელოვნად არის „ნაციონალური მოძრაობის“ თანამოაზრე, თანაპარტიელი და ამ რადიკალური დღის წესრიგის ნაწილი. გამომდინარე აქედან, თუ ვინმეს არ უნდა, რომ მომავალში იწოდებოდეს „ნაციონალური მოძრაობის“ გაგრძელებად“, ამ პროცესში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს“.

ნინო ვარდოსანიძემ განაცხადა, რომ წინასაარჩევნო პერიოდმა, კიდევ ერთხელ, ნათლად აჩვენა, რომ კახა კალაძე თბილისის მერობის ერთადერთი რეალური კანდიდატია, პირველ რიგში, იმ ყველა სასიკეთო საქმის გამო, რაც ჩვენი ქალაქისთვის გაკეთდა. აღნიშნა, რომ მოსახლეობას ყოველდღიურად მიეწოდება ინფორმაცია მიმდინარე თუ განხორციელებული პროექტების, სამომავლო ხედვების და კონკრეტული გეგმების შესახებ, რაც მისთვის, როგორც ამომრჩევლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. აქვე აღნიშნა, რომ გვქონდა შესაძლებლობა მოგვესმინა საარჩევნო პროგრამისთვის, სადაც იყო იმ კონკრეტული პროექტების ჩამონათვალი, რომლებიც თბილისს უფრო ლამაზ, ევროპულ და კომფორტულ ქალაქად აქცევს მომავალი ოთხი წლის განმავლობაში და მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ კახა კალაძის მერობის პირობებში აუცილებლად შესრულდება ყველა დაპირება. ამ ყველაფრის ფონზე, ოპოზიცია, საარჩევნო დაპირებების და საქმიანი საუბრის ნაცვლად, კვლავ ცრუ იმედებით ავსებს საზოგადოებას, რაც კიდევ ერთი იმედგაცრუება იქნება მათი ამომრჩევლისთვის, ხოლო 4 ოქტომბერი იქნება გამარჯვების დღე და მეტი სიკეთის მომტანი თბილისისთვის და მთელი საქართველოსთვის.

კონსტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ ძალიან ცოტა დრო დარჩა არჩევნებამდე, რომელიც საბოლოოდ დაასრულებს რადიკალიზმს ამ ქვეყანაში და ეს მოხდება ზუსტად იმ დღეს, რომელ დღეზეც ოპოზიციას აქვს ილუზია, რომ ძალადობრივი გზით შეცვლის რამეს ამ ქვეყანაში. აღნიშნა, რომ ოპოზიციური პარტიების მონაწილეობა არჩევნებში ძალიან კარგია, რადგან მიხვდნენ, რომ ხელისუფლების ცვლილების ერთადერთი გზა არის და მომავალშიც იქნება არჩევნები და ისაუბრა არჩევნებში მონაწილე პარტიების კამპანიაზე, რომელიც, მისი თქმით, ნათლად აჩვენებს იმას, რომ ერთადერთი პარტია, რომელსაც აქვს ქალაქის განვითარების მკვეთრი და სწორი ხედვა, არის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, რომლის მაჟორიტარობის კანდიდატები და პროპორციული სიის წევრები ყოველდღიურად რამდენიმე შეხვედრას ატარებენ თითოეულ რაიონში და ოლქში, რათა გამოიკვეთოს მოსახლეობის

პრობლემები და არჩევნების შემდეგ ამ პრობლემებზე დაიწყო მყისიერი რეაგირება. კონსტანტინე ზარნაძის თქმით, ამ ყველაფრის პარალელურად, ოპოზიციის ერთ-ერთი წარმომადგენელი ამბობს, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, მეორე დღესვე, გაიფიცება მერიის ყველა საქალაქო სამსახური და გამგეობა, რაც ნიშნავს იმას, რომ იმ პრობლემების მოგვარების ნაცვლად, რომლებიც აწუხებს მოსახლეობას, გადავლენ აქციების რეჟიმში. აქედან გამომდინარე, დარწმუნებულია, რომ ეს არჩევნები იქნება ყველაზე უფრო მაღალი რეიტინგის მაჩვენებელი „ქართული ოცნებისთვის“, ყველაზე უფრო დიდი ლეგიტიმაციით მოიგებს კახა კალაძე და „ქართული ოცნების“ ყველა მაჟორიტარი არჩევნებს, ვიდრე აქამდე ყოფილა და ვერანაირი არეულობის პროცესი ვერ გააჩერებს ამ ქალაქის განვითარებას.

თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ კახა კალაძის დაპირებები არ არის მხოლოდ სიტყვები, რადგან რვა წლის განმავლობაში ვნახეთ თუ როგორ გახდა თბილისი ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ქალაქი მთელს მსოფლიოში, რომელსაც წლიდან-წლამდე მილიონობით ტურისტი სტუმრობს. მისი თქმით, 4 ოქტომბრის არჩევნებზე, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ გვინდა განვითარება, აღმშენებლობა და მშვიდობა თუ დესტრუქცია და სწორედ ამიტომ ფიქრობს, რომ ერთადერთი ალტერნატიული ძალა არის „ქართული ოცნება“. საუბრის ბოლოს, თინათინ ნიბლოშვილმა წარმატებები უსურვა „ქართული ოცნების“ კანდიდატებს და განაცხადა: „დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად გავიმარჯვებთ ყველა მუნიციპალიტეტში, რადგან, უბრალოდ, არ არსებობს სხვა არჩევანი და სხვა გზა, რომელიც ამ ქვეყანას მოუტანს უფრო მეტ მშვიდობას და განვითარებას, ვიდრე „ქართული ოცნება“.

მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ რეალურად, საქართველო დგას სერიოზული გამოწვევის წინაშე და იმედი გამოთქვა, რომ 4 ოქტომბერს დასრულდება ე.წ. „ბარიერგადალახული პარტიების“ არსებობა პოლიტიკურ ველზე, რადგან მათ ოპოზიცია შეიყვანეს ჩიხში, რომლიდან გამოსავალი არ არსებობს. აქვე განაცხადა, რომ შეუძლებელია გქონდეს არჩევნებში წარმატების იმედი, როდესაც პარტიის თუ კოალიციის „მთავარი სპიკერი“ არის ელისაშვილი და რაიმე კონკრეტული ქმედებების დადებით შედეგებზე გქონდეს პრეტენზია, როდესაც „მთავარი სახე“ ხაბეიშვილია. მიხეილ კაკაურიძე დარწმუნებულია, რომ 5 ოქტომბერს დაიწყება „ახალი ერა“ და ქვეყანას ეყოლება პასუხისმგებლიანი ოპოზიცია, რომელიც, ქვეყნის უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად, შეძლებს ოპონენტთან საუბარს და პოლემიკაში შესვლას. მისი თქმით, დღეს, ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები დაპაუზებულია და იმედი გამოთქვა, რომ 4 ოქტომბერს ეს ყველაფერი შეიძენს „ახალ იმპულსს“ და ერთმანეთთან საუბარს შეძლებენ ოპოზიცია, ხელისუფლება და ამ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის მებრძოლი ნებისმიერი პატრიოტი. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ნამდვილად დიდია პროვოკაციების მოწყობის საშიშროება, რაზეც შესაძლებელია ორიენტირებული იყოს კონკრეტული „ხელმოცარული პიროვნება“ და იქიდან გამომდინარე, რომ პროცესების მშვიდობიან დასრულებაზე უმთავრესი პასუხისმგებელი არის ხელისუფლება, მოუწოდა მის წარმომადგენლებს, ეცადონ პოლემიკაში შევიდნენ აქციის მონაწილეებთან, რომელთა მთავარი მიზანი არა რომელიმე პოლიტიკური ძალის გაძლიერება, არამედ ქვეყნის სწორი განვითარებაა.

ზურაბ აბაშიძე გამოეხმაურა მიხეილ კაკაურიძის გამოსვლას და განაცხადა, რომ ძნელია არ დაეთანხმოს მის შეფასებას დღეს არსებულ პოლიტიკურ პროცესთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ არ ეგულება არცერთი კოლეგა, რომელიც ამ აზრს არ იზიარებდეს და განაცხადა: „ჩვენი მთავარი ამოცანა და მიზანი არის ის, რომ პირველ რიგში, ქვეყანაში შევინარჩუნოთ მშვიდობა და გავაგრძელოთ აღმშენებლობა“.

შალვა ოგბაიძე გამოეხმაურა მიხეილ კაკაურიძის გამოსვლას და განაცხადა, რომ მართლაც მისასალმებელია ჯანსაღი ოპოზიციის არსებობა, თუმცა, ავჭალის სამაჟორიტარო ოლქში, ვერცერთ ოპოზიციონერს ვერ ხედავს, ვინც არსებულ გამოწვევებს უპასუხებს უფრო სწრაფად და ეფექტურად. მისი თქმით, ოპოზიციას აქვს თავისი პროგრამა, სადაც ამბობენ - „თბილისი საცობების გარეშე“, მაგრამ არ ამბობენ იმას, თუ როგორ შეიძლება თბილისი იყოს საცობების გარეშე და ასეთი მაგალითები ძალიან ბევრია და იქიდან გამომდინარე, რომ „ჩვენი საქმე მართალია, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ“.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თამარ ხვედელიანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“;
მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი შარაშიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“;
მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სალომე კობალაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“;
მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის N52-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
მომხსენებელი: ნინო ლომინაძე
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
მომხსენებელი: ირაკლი ხუნწარიძე
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (2030 წლამდე) დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: ქეთევან კანდელაკიშვილი
7. „მისამართზე - ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი N9ა, ბ, გ (ს/კ. N01.17.12.003.255) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე“;
მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე
8. „მისამართზე - ქ.თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა N20თ (ს/კ. N01.10.13.010.089) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე“;
მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე
9. „მისამართზე - ქ.თბილისი, გუდაურის (სვანიძის) ქ.4-6 (ს/კ. N01.15.02.022.015 - ბარნოვის ქუჩა N51ბ; ს/კ. N01.15.02.022.027 - სვანიძის ქუჩა N6; ს/კ. N01.15.02.022.028 - სვანიძის I ჩიხი N3; ს/კ. N01.15.02.022.029 - ბარნოვის II ჩიხი N1; ს/კ. N01.15.02.022.030 - სვანიძის ქუჩა N4) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე“;
მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე
10. „მისამართებზე - ქ.თბილისი, საირმეს ქ.N37 (ს/კ. N01.10.14.024.036), ქ.თბილისი, მუხადის ქ.N4 (ს/კ. N01.14.11.024.004), ქ.თბილისი, ი.აბაშიძის ქ.N55 (ს/კ. N01.14.11.024.012) - არსებული

დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

11. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქუჩა, N124; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვახტანგ VI-ის ქუჩა, N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.1002, ფართობი - 3300 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

12. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მუხიანის IVა მ/რ, კორპუსი N8-ისა და კორპუსი N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.007.124, ფართობი - 957 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

13. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ოქროყანის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.01.004.328, ფართობი: 5528 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

14. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვარკეთილი 3, კორპუსი N319-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.39.014.052, ფართობი - 2524 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

15. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გიორგი მდივანის ქუჩა, N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.11.007.007, ფართობი - 1148 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

16. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N117-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.13.06.001.044, ფართობი: 14708 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

17. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გლდანის დასახლება, III მიკრო/რაიონი, მემედ აბაშიძის ქუჩა N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან

(საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.163, ფართობი - 2700 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

18. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ფონიჭალის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.13.023.036; ფართობი - 966 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

19. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას (ყოფილი საბადურის) ქუჩა, N39-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.034.014; ფართობი - 1328 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

20. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ხიზაბავრის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.018.830, ფართობი - 2165 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

21. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

22. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

23. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N200-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ფარნავაზის გამზირის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გამზირი ფარნავაზი, ჰიპერმარკეტ „გუდვილის“ მიმდებარედ (ნაკვეთი 03/003); ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N5, N9; ქალაქი თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, ფერდობი -1; ქ.თბილისი, ფარნავაზ მეფის N5-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.10.06.005.032; N01.10.06.005.011; N01.10.06.005.007; N01.10.06.003.008; N01.10.06.003.009; N01.10.06.003.003; N01.10.06.003.006; N01.10.06.011.086; N01.10.06.005.009; N01.10.06.005.010; N01.10.06.003.053) დამიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის N603 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

24. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ნაკვეთი N64; ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.281; N72.16.15.560;

N72.16.15.570; N72.16.15.558) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

25. „ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის I შესახვევი, N56; ქალაქი თბილისი, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, ლისის ტერიტორია, თელეების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.23.028; N72.16.23.061; N72.16.15.290; N72.16.23.180; N72.16.23.183; N72.16.23.182; N72.16.23.184) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

26. „ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩა N74; N76; N80; N78-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.092; N01.18.06.015.012; N01.18.06.015.029; N01.18.06.015.290; N01.18.06.015.292) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

27. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N234ბ-ში; ქალაქ თბილისში, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-12 კმ., (ნაკვეთი 14/541); ქალაქი თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-12 კმ-ზე (ნაკვეთი 14/517) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.881; N01.72.14.014.880) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის N534 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

28. „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N49, N49-ა; N49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.07.008.178; N01.14.07.008.180; N01.14.07.008.182) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N390 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

29. „ქალაქ თბილისში, დიდგორის რაიონში, დაბა კოჯორის სამხრეთით, ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 24 დეკემბრის N01/1979 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

30. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.01.397; N01.81.02.399.065; N01.81.02.399.041; N01.81.02.399.042; N01.81.01.109.017; N01.81.02.399.018; N81.02.93.071; N81.02.94.644; N81.02.94.643; N81.02.18.843; N81.02.95.608; N81.02.95.381; N81.02.93.246; N81.02.00.628;

N81.02.18.681; N01.81.02.165.006; N01.81.02.165.005; N81.02.17.259; N01.81.02.165.007; N81.02.97.279; N01.81.02.399.073; N81.02.21.610; N81.02.01.767; N01.81.02.399.074; N01.81.02.399.049; N01.81.02.399.046) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 მარტის N83 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

31. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N8გ, N12, N8ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.19.005.017; N01.19.19.005.012; N01.19.19.005.055) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N381 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

32. „ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.046) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N380 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

33. „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N73ა/გიორგი გურამიშვილის ქუჩა, N1; ქალაქი თბილისი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა, N1ა, N1ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.137; N01.18.06.019.062; N01.18.06.019.078) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N344 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

34. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N81.02.20.800) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

35. „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში; ქალაქი თბილისი, სოფელი ქვემო ლისი, „ხოდაბუნი“; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი, ხოდაბუნების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.17.384; 72.16.17.386; 72.16.17.741) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

36. „ქალაქ თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა, N10-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ქუჩა დ. აბაშიძე, N 10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.05.012.093; N01.16.05.012.092; N01.16.05.012.028; N01.16.05.012.029) მრავალბინიანი საცხოვრებელი

სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

37. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.22.153; 81.02.22.154; 01.81.02.234.009, 01.81.02.234.010 და 01.81.02.234.008-ის ნაწილი) სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

38. „ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი, პოლიციის სამმართველოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.434) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

39. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-14 კილომეტრზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.232.004) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

40. „ქალაქ თბილისში, ალექსი გობროზიძის ქუჩა N47; ქალაქი თბილისი, სოფელ გლდანში; ქალაქი თბილისი, გლდანი, ავშნიანში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.11.17.023.260; N01.11.17.023.261; N01.11.17.023.267) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი და ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

41. „ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N45-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.116.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

42. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების I შესახვევი N20-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.131.01.513) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

43. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

44. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონის კორპუს N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

45. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

46. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა N8დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.071.01.047) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

47. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არომას“ (ს/ნ. 245599990) შორის 2021 წლის 10 ივნისს გაფორმებულ „ქ.თბილისში, სომხეთის ჩიხი N10-ის მიმდებარედ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1827 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და შპს „არომასათვის“ (ს/ნ. 245599990) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

48. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონის კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 25 დეკემბრის N24.2231.2519 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017.02.546) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

49. „ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქ.N10-ში მდებარე 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.026.022) პირდაპირი განკარგვისწესით ინდივიდუალური მეწარმე ტეტიანა მამნიაშვილისთვის (ს/ნ. 306307706; უკრაინის მოქ. პასპორტი: FU667462, დაბ. 01.01.1982წ./პ/ნ. 01601141783) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

50. „ქ.თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N31-ში არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.15.018.083) პირდაპირი განკარგვის წესით, ვახტანგ ყაველაშვილისთვის (პ/ნ. 01024029477) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

51. „ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3193კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 59 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აპ 24-სთვის“ (ს/ნ. 405723766) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით საკითხის შეთანხმების გადაცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

52. „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქ.N28-66-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 2288 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.029.104) 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით კონსტანტინე ხიდირბეგიშვილისთვის (პ/ნ. 01008038231) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

53. „ქალაქ თბილისში, გამრეკელის ქ.N18 კორპუსის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.029.026) პირდაპირი განკარგვის წესით ნანა გურგენიძისთვის (პ/ნ. 01024037482) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

54. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, ილია სუხიშვილის ქუჩა N45, სართული 7, ბლოკი „ბ“- ში არსებული ბინა N39 ფართით: 65.70 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.19.39.029.046.01.02.039) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

55. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს/კ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს/კ. 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

56. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ბრზ სოლარს“ (ს/კ. 404746673) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №-806-3-30671 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების მოწონებისა და შპს „ბრზ სოლარის“ (ს/კ. 404746673) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

57. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს/კ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს/კ. 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

58. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ენსი გრუპს“ (ს/კ. 405186365) (დღეის მდგომარეობით: შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ - ს/ნ. 405626997) შორის 2021 წლის 15 ივლისს გაფორმებული „ქ.თბილისში, დიდი დიღმის დასახლების მიმდებარედ არსებული 8118 კვ.მ. ფართობის, N01.10.06.002.064 და N01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ. N01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს

„ბლოქსი თავდადებულზე“-ს ს/ნ. 405626997) ნაწილობრივ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

59. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის 13 მაისის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

60. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პოეტის, ზურაბ გორგილაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

61. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანისხევის ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მეზრძოლის, მაიორ მიხეილ გამკაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

62. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დოდო ჭიჭინაძის ქუჩასთან არსებული უსახელო მოედნისთვის მსახიობის, დოდო ჭიჭინაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

63. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, პაატა სააკაძის ქუჩის მონაკვეთისთვის დოდო ჭიჭინაძის II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

64. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობის ალექო თეთრაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

65. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში დაღუპული მეზრძოლის გელა ოჩიაურის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

66. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ლომისის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

67. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული ორი გასასვლელისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მეზრძოლის ბადრი ჭინჭარაულის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

68. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩის მონაკვეთისთვის და ჩიხისთვის იელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

69. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

70. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, ცივი წყაროს ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

71. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, გიორგი ოდიშვილის ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის გიორგი ოდიშვილის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თამარ ხვედელიანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ საქართველოს პარლამენტმა ცნო საკრებულოს ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ წევრების: თამარ ხვედელიანის, სალომე კობალაძის და გიორგი შარაშიძის უფლებამოსილება, რის შემდეგაც მათ, საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით, წერილობით მომართეს საკრებულოს. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, წარმოდგენილია ზემოთ ხსენებული პირებისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხები. აქვე აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრებს უფლებამოსილება შეუწყდებათ საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების მომდევნო დღიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი შარაშიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 18

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სალომე კობალაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ ძალიან კარგი და მისასალმებელია, რომ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, რომლებმაც გადალახეს საარჩევნო ბარიერი, თანახმა არიან მუშაობა განაგრძონ საკანონმდებლო ორგანოში და წარმატებები უსურვა მათ.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის N52-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხორციელდება მცირე რედაქციული ცვლილებები პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის განხორციელების წესში და ზუსტდება მომლოდინეთა და მიმწოდებელთა უფლება-მოვალეობები. კერძოდ: განისაზღვრა, რომ მომსახურების მაძიებელი განცხადებით მიმართავს მხოლოდ ერთ მიმწოდებელს; დიდი რიგის შემთხვევაში, მომლოდინეს უფლება აქვს მიმართოს იმ მიმწოდებელს, სადაც რიგი თავისუფალია, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ მან უნდა შეატყობინოს იმ დაწესებულებას, სადაც მანამდე იმყოფებოდა რიგში; პროგრამაში ჩართვა მოხდება განცხადებების რიგითობის მიხედვით; განისაზღვრა, რომ თუ მიმწოდებელს არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ასისტენტი იმ პირისთვის, რომელზეც უკვე გამოიყო ფინანსური რესურსი, იგი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს განმახორციელებელს და თავადვე უზრუნველყოს ასეთი პირის გადამისამართება სხვა მიმწოდებელ დაწესებულებაში.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ირაკლი ხუნწარიძემ და განმარტა, რომ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურების სახეებს, სერვისის სახით, ემატება ახალი მომსახურება თავისი ფასით, კერძოდ, სატრანსპორტო საშუალებაზე ტაქსის ლიცენზიის გადამოწმების მომსახურების პირობები და საფასურის ოდენობები, რაც შეადგენს 1.50 ლარს. აქვე აღნიშნა, რომ ძირითადი ინიციატივა მოდიოდა სადაზღვევო კომპანიებიდან, რომელთა მოთხოვნაც იყო ლიცენზიით მოსარგებლე ტაქსების გადამოწმება და მათი დაბეგვრა ჩვეულებრივ სატრანსპორტო საშუალებებზე უფრო მეტი პროცენტული გადასახადით.

შალვა ოგბაიძემ განმარტა, რომ აღნიშნული სერვისი არის სადაზღვევო კომპანიებისთვის, რომლებიც ტაქსებს თვლიან მომეტებული რისკის სატრანსპორტო საშუალებებად და იმ მიზნით, რომ დაზღვევისას მოხდეს განსაზღვრა ავტომობილით ხორციელდება თუ არა ტაქსის მომსახურება, გამოიყენებენ მუნიციპალურ მონაცემთა ბაზას.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (2030 წლამდე) დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ქეთევან კანდელაკიშვილმა და განმარტა, რომ 2010 წელს, თბილისის მუნიციპალიტეტი პირველად შეუერთდა მერების შეთანხმების ინიციატივას, რომელიც შემდგომ განახლდა და დედაქალაქი შეუერთდა 2023 წელს. ამ ინიციატივის ფარგლებში თბილისმა აიღო ვალდებულება, რომ 2030 წლისთვის მინიმუმ 30%-ით შეამციროს CO₂-ის და სხვა სათბური აირების ემისია საკუთარ ტერიტორიაზე და ასევე, შეიმუშავებდა მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმას. წარმოდგენილი გეგმა ეფუძნება მერების შეთანხმების სამ ძირითად პრინციპს: დეკარბონიზაცია, კლიმატის ცვლილებების შედეგებისადმი მედეგობა და ხელმისაწვდომობა მდგრად და უსაფრთხო ენერგიაზე. გეგმა მოიცავს სხვადასხვა სექტორებს და თბილისის მერიის სამსახურები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ნარჩენების, ტრანსპორტის, ენერგოეფექტურობის და გამწვანების მიმართულებებით, უზრუნველყოფენ შესაბამისი ქმედებების განხორციელებას. აქვე აღნიშნა, რომ ამ კუთხით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს გამწვანების მიმართულება და აქედან გამომდინარე, გეგმაში შესულია ყველა ის სამომავლო პროექტი, რომლის განხორციელებაც დაგეგმილი აქვს მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს, პარკების, სკვერების და გამწვანებული სივრცეების მოწყობის კუთხით. გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, რომლის ფარგლებშიც თითოეული სექტორის კუთხით უნდა მოხდეს საზოგადოების ინფორმირება, რათა შესაძლებელი იყოს გეგმით დასახული მიზნების ეფექტურად განხორციელება.

ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი განხილული და მოწონებული იქნა ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის და გარემოს დაცვის კომისიების მიერ.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი, „მწვანე ტრანსპორტის“ კუთხით, განხილულია სატრანსპორტო საკითხთა კომისიაზე და განაცხადა, რომ თბილისს აქვს აბსოლუტურად განახლებული ავტოპარკი, უფრო და უფრო ინტენსიური ხდება ელექტრომობილების პოპულარიზაცია-შემოყვანა, რასაც ხელი შეუწყო ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სხვადასხვა სახის პრივილეგიების შემოღებამ, ხოლო ამ ყველაფერმა გამოიწვია ის, რომ დედაქალაქში ნელ-ნელა მცირდება ჰაერის დაბინძურებაში ავტომობილების გამოწვლილი წილი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „მისამართზე - ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი N9ა, ბ, გ (ს/კ. N01.17.12.003.255) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საკითხი

სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და აღნიშნა, რომ წლებია თბილისის მერია და საკრებულო აგვარებს დაუმთავრებელი მშენებლობებით დაზარალებული მოქალაქეების პრობლემას და ძალიან ბევრ ადამიანს უკვე გაეწია დახმარება, როგორც ფულადი კომპენსაციის გაცემის, ასევე, ფართების გადაცემის გზით, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ რჩება შემთხვევები, რომლებიც საჭიროებს მხარდაჭერას. აქვე აღნიშნა, რომ საკრებულოს აქვს უფლებამოსილება ამა თუ იმ ობიექტს მიანიჭოს დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი და აქედან გამომდინარე, მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია რამდენიმე პროექტი, მათ შორის, მოსკოვის გამზირი N9ა, ბ, გ-ში მდებარე ობიექტისთვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების საკითხი, რათა შემდგომ მოხდეს შპს „მეტი დეველოპმენტის“ დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული დაახლოებით 250-მდე ოჯახისთვის შესაბამისი დახმარების გაწევა.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „მისამართზე - ქ.თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა N20თ (ს/კ. N01.10.13.010.089) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ ამ შემთხვევაში წარმოდგენილია შპს „დემაქს გოთუას“ დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული პირების საკითხი.

ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, რომ უკვე მრავალი წელია მოსახლეობის წინაშე დგას დაუმთავრებელი მშენებლობით გამოწვეული პრობლემა, რომლის მოგვარებისთვისაც თბილისის მერია და საკრებულო დგამს ისეთ ნაბიჯებს, რაც ხელს შეუწყობს ამ პრობლემის მოგვარებას. აქვე აღნიშნა, რომ უკვე დაკმაყოფილებულია სხვადასხვა კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული დაახლოებით 12000 ოჯახი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „მისამართზე - ქ.თბილისი, გუდაურის (სვანიძის) ქ.4-6 (ს/კ. N01.15.02.022.015 - ბარნოვის ქუჩა N51ბ; ს/კ. N01.15.02.022.027 - სვანიძის ქუჩა N6; ს/კ. N01.15.02.022.028 - სვანიძის I ჩიხი N3; ს/კ. N01.15.02.022.029 - ბარნოვის II ჩიხი N1; ს/კ. N01.15.02.022.030 - სვანიძის ქუჩა N4) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ ამ შემთხვევაში მშენებლობის დაწყება მოხდა მშენებლობის ნებართვის გარეშე და აქედან გამომდინარე, უცნობია, თუ რა სურათი იქნება ზემოთ ხსენებულ მისამართზე არსებულ ობიექტთან დაკავშირებით და ამიტომ, პირველ რიგში, საჭიროა ობიექტს მიენიჭოს დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „მისამართებზე - ქ.თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ. N01.10.14.024.036), ქ.თბილისი, მუხამის ქ. N4 (ს/კ. N01.14.11.024.004), ქ.თბილისი, ი.აბაშიძის ქ. N55 (ს/კ. N01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული პირებისთვის კომპენსაციის გაცემის საკითხი. კერძოდ, ე.წ. „ათორის დაზარალებული“ ორი პირისთვის ფულადი კომპენსაციის გაცემა, რომლის ფარგლებში, ერთ დაზარალებულს გადაეცემა 40000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, ხოლო მეორეს - 60000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული პირებისთვის ფულადი კომპენსაციის გაცემა და ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოსახლეობა ჩართულია პროცესში და თავად აკეთებს არჩევანს ფართის გადაცემასა და ფულადი კომპენსაციის მიღებას შორის. საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული პირების დახმარების პროექტი ძალიან წარმატებულია და დედაქალაქის მერის დამსახურებაა ის, რომ უამრავ ადამიანს უკვე მოეხსნა ეს პრობლემა და მომავალშიც ასე გაგრძელდება, რადგან მუნიციპალიტეტი ყოველთვის იდგება თითოეული მოქალაქის გვერდში.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქუჩა, N124; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვახტანგ VI-ის ქუჩა, N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.1002, ფართობი - 3300 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, სოფელი დიღომში, ცამეტი ასურელი მამის ქუჩა, N124-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 4.6-დან 8.3-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ორი 19 სართულიანი შენობის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის 3282000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

12. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მუხიანის IVა მ/რ, კორპუსი N8-ისა და კორპუსი N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.007.124, ფართობი - 957 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტინძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, მუხიანის IVა მ/რ, კორპუსი N8-ისა და კორპუსი N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 4.0-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს სამი სართულის დამატებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ორი 9 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის 466000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ოქროყანის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.01.004.328, ფართობი: 5528 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტინძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 1.5-დან 1.8-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ორ შენობა-ნაგებობაზე თითო-თითო სართულის დამატებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს 6 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის 1113000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვარკეთილი 3, კორპუსი N319-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.39.014.052, ფართობი - 2524 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტინძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, ვარკეთილი 3, კორპუსი N319-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.8-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს სამი სართულის დამატებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს 9 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის 1317000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

